International Scientific Journal **Innovative Economics and Management**
E-ISSN:2449-2604
htpp://iem.ge; editor@iem.ge
Vol. 13 No1.2026

Economic Security of Georgia in the Context of Global Challenges

Ramaz Otinashvili[a], Shota Veshapidze[b], Besik Oboladze[c], Tamar Otinashvili[d]

[A,c] *Georgian Technical University, Tbilisi, Georgia*
[B] *Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Tbilisi, Georgia*
[c] *Association of Security Researchers (USMA.GE) , Tbilisi, Georgia*

ARTICLE INFO	ABSTRACT
Keywords: national security, economic security, global challenge, economic sustainability, business.	*This scholarly article is devoted to an in-depth analysis of Georgia's economic security in the context of global challenges and to a theoretical and conceptual interpretation of the notion of security across different stages of historical development. The main objective of the study is to determine the significance and functional role of economic security within the integrated system of national security, as well as to identify the key internal and external factors that influence Georgia's economic resilience, independence, and long-term development prospects in the contemporary international environment. The research is based on the premise that economic security is no longer merely one of the directions of economic policy, but rather a fundamental prerequisite for state sovereignty and sustainable development.* *The methodological framework of the study is grounded in an interdisciplinary and comprehensive approach. It employs the historical-logical method to examine the evolution of the concept of security from antiquity to the modern era; comparative analysis to contrast different theoretical approaches to security and models of statehood; and systemic and structural analysis, which considers economic security as an integrated system of interrelated elements. In addition, the study applies a comprehensive analytical method encompassing the complex assessment of economic, social, political, technological, and geopolitical factors and the identification of their interdependencies. This methodological approach enhances the depth and reliability of the research.* *The main findings demonstrate that in the contemporary world the concept of national security has expanded significantly, with economic security emerging as one of its central components. Historically, state security was based on military power, territorial control, and the possession of natural resources, whereas under conditions of globalization, technological progress, and the information society, decisive importance is attributed to human capital, innovative potential, financial stability, and institutional effectiveness. In the case of Georgia, ensuring economic security is linked both to strengthening the internal economic system and to reducing external economic risks and dependencies.* *The practical implications of the research findings may be utilized in the process of designing state economic and security policies, improving national development strategies, and effectively managing global and regional challenges. The study also provides a theoretical foundation for further academic research on issues of economic security and contributes to the intensification of academic discourse on this subject.*
JEL classification:	*F520, A120, H120, O430*
Received: *10.09.2025* ***Revised:*** *14.02.2026* ***Accepted:*** *15.04.2026*	https://doi.org/10.46361/2449-2604.13.1.2026.137-144

Coresponding author. r.otinashvili@gtu.ge

© Copyright, 2026 by the author(s)

International Scientific Journal **Innovative Economics and Management**
E-ISSN:2449-2604
htpp://iem.ge; editor@iem.ge
Vol. 13 No1.2026

საქართველოს ეკონომკური უსაფრთხოება გლობალური გამოწვევების კონტექსტში

რამაზ ოთინაშვილი[a], შოთა ვეშაპიძე[b], ბესიკ ობოლაძე[c], თამარ ოთინაშვილი[d]
[a]*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი საქართველო*
[b]*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო*
[c]*უსაფრთხოების სფეროს მკვლევართა ასოციაცია თავმჯდომარე (USMA.GE), თბილისი, საქართველო*

ინფორმაცია სტატიის შესახებ

საკვანძო სიტყვები: *ეროვნული უსაფრთხოება, ეკონომიკური უსაფრთხოება, გლობალური გამოწვევა, ეკონომიკური მდგრადობა, ბიზნესი.*

აბსტრაქტი

წინამდებარე სამეცნიერო სტატია ეძღვნება საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების სიღრმისეულ ანალიზს გლობალური გამოწვევების კონტექსტში და უსაფრთხოების ცნების თეორიულ-კონცეპტუალურ გააზრებას ისტორიული განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. კვლევის ძირითადი მიზანია ეკონომიკური უსაფრთხოების მნიშვნელობისა და ფუნქციური როლის განსაზღვრა ეროვნული უსაფრთხოების ერთიან სისტემაში, აგრეთვე იმ ძირითადი შიდა და გარე ფაქტორების იდენტიფიცირება, რომლებიც თანამედროვე საერთაშორისო გარემოში ზეგავლენას ახდენს საქართველოს ეკონომიკურ მდგრადობაზე, დამოუკიდებლობასა და გრძელვადიანი განვითარების შესაძლებლობებზე. კვლევა ემყარება მოსაზრებას, რომ ეკონომიკური უსაფრთხოება აღარ წარმოადგენს მხოლოდ ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ მიმართულებას, არამედ ის არის სახელმწიფოს სუვერენიტეტისა და სტაბილური განვითარების აუცილებელი პირობა.

კვლევის მეთოდოლოგიური ჩარჩო დაფუძნებულია ინტერდისციპლინურ და კომპლექსურ მიდგომაზე. გამოყენებულია ისტორიულ-ლოგიკური ანალიზის მეთოდი, რომლის მეშვეობითაც განხილულია უსაფრთხოების ცნების ევოლუცია ანტიკური ხანიდან თანამედროვე პერიოდამდე; შედარებითი ანალიზი, რომელიც უზრუნველყოფს უსაფრთხოების სხვადასხვა თეორიული მიდგომისა და სახელმწიფოებრივი მოდელის ურთიერთშედარებას; სისტემური და სტრუქტურული ანალიზი, რაც ეკონომიკურ უსაფრთხოებას განიხილავს როგორც ურთიერთდაკავშირებულ ელემენტთა ერთიან სისტემას. ამასთან, კვლევაში გამოყენებულია ყოველმხრივი ანალიზის მეთოდი, რომელიც მოიცავს ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური, ტექნოლოგიური და გეოპოლიტიკური ფაქტორების კომპლექსურ შეფასებას და მათი ურთიერთგავლენის გამოვლენას. აღნიშნული მეთოდოლოგიური მიდგომა ზრდის კვლევის სიღრმესა და სანდოობას.

კვლევის ძირითადი შედეგები ცხადყოფს, რომ თანამედროვე მსოფლიოში ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია მნიშვნელოვნად გაფართოვდა და ეკონომიკური უსაფრთხოება მის ერთ-ერთ ცენტრალურ კომპონენტად ჩამოყალიბდა. ისტორიულად სახელმწიფოს უსაფრთხოება ეფუძნებოდა სამხედრო ძლიერებას, ტერიტორიულ კონტროლსა და ბუნებრივი რესურსების ფლობას, მაშინ როდესაც გლობალიზაციის, ტექნოლოგიური

Coresponding author. r.otinashvili@gtu.ge
© Copyright, 2026 by the author(s)

	პროგრესისა და ინფორმაციული საზოგადოების პირობებში გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს ადამიანური კაპიტალი, ინოვაციური პოტენციალი, ფინანსური სტაბილურობა და ინსტიტუციური ეფექტიანობა. საქართველოს შემთხვევაში, ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა დაკავშირებულია როგორც შიდა ეკონომიკური სისტემის გამყარებასთან, ასევე გარე ეკონომიკური რისკებისა და დამოკიდებულებების შემცირებასთან. კვლევის შედეგების პრაქტიკული გამოყენება შესაძლებელია სახელმწიფო ეკონომიკური და უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვის პროცესში, ეროვნული განვითარების სტრატეგიების სრულყოფასა და გლობალური და რეგიონული გამოწვევების ადეკვატურ მართვაში. ნაშრომი ასევე წარმოადგენს თეორიულ საფუძველს ეკონომიკური უსაფრთხოების საკითხებზე შემდგომი სამეცნიერო კვლევებისათვის და ხელს უწყობს აღნიშნული პრობლემატიკის აკადემიურ დისკურსში გააქტიურებას.
JEL კლასიფიკაცია:	*F520, A120, H120, O430.*
მიღებულია: *09.01.2026* **რეცენზირებულია:** *14.02.2026* **დამტკიცებულია:** *10.04.2026*	https://doi.org/10.46361/2449-2604.13.1.2026.137-144

შესავალი

გლობალიზაციისა და გეოპოლიტიკური არასტაბილურობის პირობებში ეროვნული უსაფრთხოება სულ უფრო კომპლექსურ ხასიათს იძენს. თანამედროვე მსოფლიოში უსაფრთხოება აღარ შემოიფარგლება მხოლოდ სამხედრო ან პოლიტიკურ ასპექტებით და მოიცავს ეკონომიკურ, სოციალურ, ტექნოლოგიურ, ეკოლოგიურ და ინფორმაციულ კომპონენტებს. ამ კონტექსტში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ეკონომიკურ უსაფრთხოებას, რომელიც ქვეყნის მდგრადი განვითარების, სოციალური სტაბილურობისა და სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის მატერიალურ საფუძველს წარმოადგენს.

საქართველოსთვის, როგორც მცირე და ღია ეკონომიკის მქონე სახელმწიფოსთვის, ეკონომიკური უსაფრთხოების საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია. გლობალურ ეკონომიკურ სისტემაში ქვეყნის შეზღუდული წილი, რეგიონული საფრთხეები და შიდა სტრუქტურული პრობლემები მნიშვნელოვნად ზრდის რისკებს. შესაბამისად, ეკონომიკური უსაფრთხოების გააზრება გლობალური გამოწვევების კონტექსტში წარმოადგენს როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულად მნიშვნელოვან ამოცანას.

სტატიის მიზანია საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების არსისა და განვითარების ეტაპების ანალიზი, ბიზნესის როლის შეფასება და ეროვნული უსაფრთხოების თანამედროვე კონცეფციის განახლების აუცილებლობის დასაბუთება.

ეროვნული უსაფრთხოების განვითარებისა და კვლევის ეტაპები

უსაფრთხოება საზოგადოების ერთ-ერთი ფუნდამენტური ღირებულებაა, რომლის გარეშე შეუძლებელია მისი არსებობა და განვითარება. კაცობრიობის განვითარების ადრეულ ეტაპზე

Coresponding author. r.otinashvili@gtu.ge
© Copyright, 2026 by the author(s)

საფრთხეები ძირითადად ბუნებრივ მოვლენებს უკავშირდებოდა, თუმცა ცივილიზაციის პროგრესთან ერთად საფრთხეთა ბუნება მნიშვნელოვნად გართულდა და მრავალფეროვანი გახდა.

ანტიკურ ხანაში საზოგადოებამ გააცნობიერა წესრიგის აუცილებლობა, რომელიც უზრუნველყოფდა როგორც კოლექტიურ დაცულობას, ისე ინდივიდთა შორის ურთიერთპატივისცემას. სწორედ უსაფრთხოების იდეამ დაუდო საფუძველი სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის ფორმირებას. ისტორიულად სახელმწიფოს უსაფრთხოება განიხილებოდა, როგორც მოსახლეობისა და საარსებო სივრცის დაცვა გარე აგრესიისა და შიდა წესრიგის დარღვევისგან (Aladashvili, 2004).

ძველ ეპოქაში სახელმწიფოს სიძლიერისა და უსაფრთხოების მთავარ ფაქტორად მიიჩნეოდა დაპყრობითი ომები და დამარცხებული ქვეყნების ეკონომიკური რესურსების მითვისება (ოთინაშვილი, 2025). XVIII–XIX საუკუნეებში უსაფრთხოების საფუძვლად განიხილებოდა ბუნებრივი რესურსების სიმდიდრე, ხოლო თანამედროვე ეტაპზე გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ადამიანურ კაპიტალს, რომელიც ეროვნული სიმდიდრის დაახლოებით 60–70%-ს შეადგენს (Lange, Wodon, & Carey, 2018).

თანამედროვე გაგებით უსაფრთხოება წარმოადგენს სახელმწიფო ინსტიტუტების მიერ საზოგადოების, სახელმწიფოსა და პიროვნების სასიცოცხლოდ აუცილებელი ინტერესების დაცვას შიდა და გარე საფრთხეებისგან, რაც უზრუნველყოფს ქვეყნის სუვერენიტეტს, დამოუკიდებლობასა და მდგრად განვითარებას (Otinashvili, 2025).

მდგრადობა და ეროვნული უსაფრთხოება

ეროვნული უსაფრთხოება მჭიდრო კავშირშია სახელმწიფოს მდგრად განვითარებასთან. მდგრადობა გულისხმობს ქვეყნის უნარს, ეფექტურად გაუმკლავდეს შიდა და გარე შოკებს ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური სტაბილურობის დაკარგვის გარეშე. საბაზრო ეკონომიკა თავისთავად ვერ უზრუნველყოფს ეროვნულ უსაფრთხოებას, რადგან თავისუფალი კონკურენცია ხშირად წარმოშობს სოციალურ უთანასწორობასა და ეკონომიკურ რისკებს. (Abesadze, 2022; Papava, 2022).

ეროვნული უსაფრთხოების წინაპირობებს შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ტერიტორიულ მთლიანობას, სუვერენიტეტს, ძლიერ სახელმწიფო ინსტიტუტებს, საზოგადოებრივ თანხმობას, სამართლიან სასამართლო სისტემასა და ეკონომიკურ ძლიერებას (Oboladze, 2017; Otinashvili, 2025).

ეკონომიკური უსაფრთხოების თეორიის თანამედროვე ევოლუცია გლობალური კრიზისების პირობებში

ეროვნული უსაფრთხოების სისტემაში ეკონომიკურ უსაფრთხოებას ცენტრალური ადგილი უკავია, რადგან სწორედ ეკონომიკა ქმნის მატერიალურ საფუძველს სოციალური სტაბილურობისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობისთვის. მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში. კაპიტალის კონცენტრაციისა და საბანკო კაპიტალის ცენტრალიზაციის გაძლიერებამ მნიშვნელოვანი სოციალური დაძაბულობა წარმოშვა, განსაკუთრებით „საშუალო ფენის“ ინტერესების შესუსტების ფონზე. ამ გარემოებებმა ეკონომიკური და სოციალური პრობლემების ახლებური გააზრების საჭიროება შექმნა. თანამედროვე პირობებში მოსახლეობის კეთილდღეობა აღარ განისაზღვრება მხოლოდ მშპ-ს მოცულობით. იგი მოიცავს ცხოვრების ხარისხს, ჯანმრთელობას, განათლებას, ღირსეული შრომისა და დასვენების შესაძლებლობას, ასევე საზოგადოებრივ პროცესებში ჩართულობას.

Coresponding author. r.otinashvili@gtu.ge
© Copyright, 2026 by the author(s)

ახალი რეალობის თეორიული გააზრების შედეგად, ჩამოყალიბდა ინსტიტუციონალიზმის სკოლა. აღნიშნული მიმართულება ეკონომიკურ ანალიზში განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ადამიანის ქცევას, ინსტიტუტების როლს, სახელმწიფოს სამართლებრივ საფუძვლებსა და ეკონომიკაში საზოგადოებრივი კონტროლისა და დაგეგმვის მნიშვნელობას, რაც შემდგომში ეკონომიკური უსაფრთხოების თეორიისთვის აქტუალური გახდა.

ეკონომიკური უსაფრთხოების მეცნიერული კვლევა აქტიურად განვითარდა XX საუკუნის 30-იან წლებში, „დიდი დეპრესიის“ პერიოდში, როდესაც აშკარა გახდა ეკონომიკური კრიზისების სისტემური საფრთხე (Aladashvili, 2004). მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში ნეოკლასიკური ეკონომიკის წარმომადგენლებმა აღიარეს სახელმწიფოს მარეგულირებელი ფუნქციის აუცილებლობა რესურსების სამართლიანი და სტაბილური განაწილების უზრუნველსაყოფად. XXI საუკუნეში კი გლობალურმა ფინანსურმა, პანდემიურმა და გეოპოლიტიკურმა კრიზისებმა ეროვნული ინტერესების დაცვა ახალი საფრთხეების წინაშე დააყენა. ამ პირობებში ეკონომიკური უსაფრთხოების კონცეფცია ეფუძნება როგორც კლასიკურ (ლისტის, კეინზის), ისე ინსტიტუციურ და თანამედროვე ალტერნატიულ მიდგომებს, რომლებიც უთანასწორობის, ეკოლოგიური გამოწვევებისა და მდგრადი განვითარების საკითხებს ეკონომიკური პოლიტიკის ცენტრალურ პრიორიტეტებად განიხილავს.

ბიზნესის უსაფრთხოება და ეკონომიკური გამოწვევები საქართველოში

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო საერთაშორისო რეიტინგებში ბიზნესის დაწყების სიმარტივით ერთ-ერთ მოწინავე პოზიციაზეა, ბიზნესის მასიური გავრცელება და მისი ზრდის მაღალი მასშტაბები ქვეყანაში არ შეინიშნება. ჩვენი აზრით, ამის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ბიზნესის უსაფრთხოების არასათანადო დაცვაა.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, ოფიციალურად რეგისტრირებული ბიზნეს-სუბიექტების რაოდენობა დაახლოებით ოთხჯერ აღემატება აქტიურად მოქმედ სუბიექტთა რაოდენობას (Geostat, 2025). აღნიშნული მაჩვენებელი მიუთითებს იმ სისტემურ პრობლემებზე, რომლებიც აფერხებს რეგისტრირებული სუბიექტების რეალურ ოპერირებასა და უსაფრთხო ფუნქციონირებას.

ერთი შეხედვით ბიზნესის დაწყების კუთხით, საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების მონაცემებით, საქართველო, მოწინავე პოზიციებზეა მსოფლიოში. მაგალითად, მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის ერთობლივი კვლევის „Doing Business“-ის მიხედვით ბიზნესის კეთების სიმარტივით 190 ქვეყანას შორის საქართველო მე–7 ადგილს იკავებს.

ცხრილი: ტოპ 10 ქვეყანა „Doing Business 2023“-ის მონაცემებით

ქვეყანა	რეიტინგი	ქულა	ქვეყანა	რეიტინგი	ქულა
1. ახ. ზელანდია	1	86,8	6. ა შ შ	6	84,0
2. სინგაპური	2	86,2	**7. საქართველო**	**7**	**83,7**
3. ჰონგ-კონგი (ჩინეთი)	3	85,3	8. ინგლისი	8	83,5

Coresponding author. r.otinashvili@gtu.ge
© Copyright, 2026 by the author(s)

4. დ ა ნ ი ა	4	85,3	9. ნორვეგია	9	82,6
5.სამხრეთ კორეა	5	84,0	10.შვედეთი	10	82,0

წყარო: https://archive.doingbusiness.org/ru/data/exploreeconomies/sweden.

შეზღუდული რესურსებისა და მზარდი კონკურენციის პირობებში ბაზარზე შესვლის მსურველთა რაოდენობა მაღალია, თუმცა კონკურენტული ბარიერები მნიშვნელოვან სირთულეებს ქმნის. ბიზნესის მასიური განვითარებისთვის საკმარისი არ არის მხოლოდ რეგისტრაცია — გადამწყვეტია კონკრეტულ საბაზრო სეგმენტზე შესვლა და იქ პოზიციის დამკვიდრება. სწორედ ამ ეტაპზე უნდა უზრუნველყოს სახელმწიფომ მცირე და დამწყები მეწარმეებისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნა.

არსებულ ბიზნესებში კონკურენცია სულ უფრო მწვავდება, რის გამოც ბევრი საწარმო ვერ უძლებს გამოწვევებს და იძულებულია დატოვოს ბაზარი (Otinashvili & Ushveridze, 2019). მნიშვნელობა აღარ აქვს, საფრთხე მოდის კონკურენტებისგან, საგადასახადო სანქციებისგან თუ პერსონალის არაკეთილსინდისიერი ქმედებებისგან — ნებისმიერ შემთხვევაში ბიზნესი განიცდის ზიანს.

ბიზნესის უსაფრთხოება წარმოადგენს კომპლექსურად გააზრებულ ბიზნეს-პროცესს, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს ყველა შესაძლო რისკს და იყოს აღჭურვილი დანაკარგებისა და დარღვევებისადმი წინააღმდეგობის გაწევის უნარით. უსაფრთხო სამეწარმეო გარემოს შექმნა შესაძლებელია მხოლოდ ეფექტურად მართული სახელმწიფო ინსტიტუტების პირობებში (Otinashvili, 2025).

ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის განახლების აუცილებლობა

საქართველოში ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია პირველად 2005 წელს შეიქმნა, ხოლო 2011 წელს განახლდა (Parliament of Georgia, 2011). მას შემდეგ მსოფლიოში და ქვეყნის გარშემო არსებული ვითარება მნიშვნელოვნად შეიცვალა, რის გამოც აღნიშნული დოკუმენტი ვეღარ პასუხობს თანამედროვე გამოწვევებს.

დღეს ეროვნული უსაფრთხოების მისაღებმა დონემ უნდა უზრუნველყოს არა მხოლოდ სახელმწიფოს არსებობა, არამედ მართვის სისტემის სიცოცხლისუნარიანობა, მუდმივი განახლება და განვითარების პოტენციალი. თანამედროვე საფრთხეების გათვალისწინებით დღის წესრიგში დგას ახალი ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის შემუშავების აუცილებლობა, რომელშიც მკაფიოდ უნდა გამოიკვეთოს ეკონომიკისა და ბიზნესის, როგორც საზოგადოების კეთილდღეობის ძირითადი წყაროს, როლი.

ჩვენი აზრით, ეროვნული უსაფრთხოების სახელმწიფო სტრატეგია და სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა მჭიდრო ურთიერთკავშირში უნდა იმყოფებოდეს, ხოლო ბიზნესის უსაფრთხო განვითარება უნდა განიხილებოდეს ეროვნული უსაფრთხოების ერთ-ერთ საკვანძო ელემენტად.

დასკვნა

საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოება გლობალური გამოწვევების პირობებში წარმოადგენს ეროვნული უსაფრთხოების სისტემის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტს. კვლევამ აჩვენა, რომ ქვეყნის წინაშე არსებული ეკონომიკური და ბიზნეს-რისკები მოითხოვს არა ფრაგმენტულ, არამედ სისტემურ და სტრატეგიულ მიდგომას.

Coresponding author. r.otinashvili@gtu.ge

© Copyright, 2026 by the author(s)

ბიზნესის უსაფრთხო ფუნქციონირების გარეშე შეუძლებელია მდგრადი ეკონომიკური ზრდა, სოციალური სტაბილურობა და მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესება. შესაბამისად, აუცილებელია ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის განახლება, ეკონომიკური უსაფრთხოების სახელმწიფო სტრატეგიის შემუშავება და მისი ინტეგრირება საერთო სოციალურ-ეკონომიკურ პოლიტიკაში.

ეკონომიკისა და ბიზნესის როლის მკაფიო გააზრება ეროვნული უსაფრთხოების კონტექსტში წარმოადგენს საქართველოს მდგრადი განვითარების და სუვერენიტეტის განმტკიცების აუცილებელ წინაპირობას გლობალური რისკების ეპოქაში.

References

Abesadze, R. (2022). The main theoretical and methodological problems of developing the economic security strategy of Georgia. *Proceedings of Scientific Works of Paata Gugushvili Institute of Economics of TSU*, **15**, 9–27 (In Georgian).

Aladashvili, B. (2004). *Ekonomikuri usafrtkhoebis arsi, miznebi da mnishvneloba tanamedrove msoflioshi* [The essence, goals, and significance of economic security in the modern world]. *New Thought*, 1(15), 45–52 (In Georgian).

Geostat. (2025). *Business sector in Georgia*. National Statistics Office of Georgia.

Kharaishvili, E., & Gechbaia, B. (2023). The impact of sustainable transportation on the development of food markets. *International Scientific Journal Innovative Economics and Management*, 10(2), 129–135. http://iem.ge (In Georgian).

Dokienko L. "FINANCIAL SECURITY OF THE ENTERPRISE: AN ALTERNATIVE APPROACH TO EVALUATION AND MANAGEMENT". // Business, Management and Economics Engineering. Volume 19, Issue 2: pp. 303–336, **2021**.

Lange, G.-M., Wodon, Q., & Carey, K. (2018). *The changing wealth of nations: Building a sustainable future*. World Bank.

Ministry of Defence of Georgia. (2012). *National security concept of Georgia*. Tbilisi.

Oboladze, B. (2017). *Georgia in the global and regional security coordination system: Threats and challenges* (In Georgian).

Otinashvili, R. (2025). *Business security* (2nd expanded ed.). Georgian Technical University Press. (In Georgian).

Otinashvili, R., & Ushveridze, L. (2019). *Competition in business*. Tbilisi.

Otinashvili, R., Veshapidze, S., & Zoidze, G. (2023). Impact of economic crime on the sustainable development of the state. *Three Seas Economic Journal*, 4(1), 10–17. https://doi.org/10.30525/2661-5150/2023-1-2

Papava, V. (2022). The problem of deglobalization and the main challenges to national economic security in the context of renewed globalization. *Proceedings of Scientific Works of Paata Gugushvili Institute of Economics of TSU*, **15**, 28–54 (In Georgian).

Parliament of Georgia. (2011, December 23). *Resolution of the Parliament of Georgia on the approval of the National Security Concept of Georgia (No. 5589-rs). Tbilisi.*

Rodrik, D. (2021). Beware Economists Bearing Policy Paradigms. Project Syndicate.

Coresponding author. r.otinashvili@gtu.ge

© Copyright, 2026 by the author(s)

Silagadze, A. (2010). Economic doctrines. Georgian National Academy of Sciences, Innovation Publishing House. Tbilisi. (In Georgian).

Silagadze, A. (2018). At the origins of economic science. Tbilisi State University Press. Tbilisi. Sen, A. (1999). Development as freedom. (In Georgian).

Veshapidze, S. (2023). New developments in the global world: Challenges and opportunities for Georgia. *The New Economist*, 18(3), 44–52. (In Georgian)

Veshapidze, S. (2024). On the basic concepts of economic security assurance. (In Georgian).

Veshapidze, S. (2024). Some economic aspects of security in the context of economic theories. *Ekonomisti*, (4), 47–58. (In Georgian). DOI:10.36172/EKONOMISTI.2024.XX.04.VESHPIDZE

Veshapidze, S., Otinashvili, R., Gvarutsidze, A., Abuselidze, G., & Zoidze, G. (2022). Modern technologies to overcome the challenges of globalization. *Entrepreneurship*, 10(2), 22–32.

Zoidze, G., Otinashvili, R., Abuselidze, G., & Veshapidze, S. (2025). Contemporary challenges of global competition in conditions of sustainable development. *WSB Journal of Business and Finance*, 59(1), 106–121.

Zoidze, G., Otinashvili, R., & Veshapidze, S. (2025). The power of information: How business intelligence shapes a company's economic sustainability. *Three Seas Economic Journal*, 6(2), 1–8. https://doi.org/10.30525/2661-5150/2025-2-1

Coresponding author. r.otinashvili@gtu.ge

© Copyright, 2026 by the author(s)